საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ამირანი“

„ამირანი“, ქართველ ტანმოვარჯიშეთა სპორტული საზოგადოება (1917–18).

ჩამოყალიბდა „საქართველოს მხედართა კავშირთან“ გ. ბერელაშვილისა და დ. ჯავრიშვილის თაოსნობით. მომსახურებას უწევდა სამხ. პირებს; მეცადინეობა „სოკოლის“ სისტემით (ჩეხების ტანვარჯიშული სისტემა) მიმდინარეობდა. 8 თვის არსებობის განმავლობაში მხოლოდ 80-მდე წევრის შემოკრება შეძლო და ერთი საჩვენებელი გამოსვლა მოაწყო ქართ. კლუბში.

1918 „შევარდენს“ შეუერთდა.

გ. მერკვილაძე.